ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №15/3-72

(კონსოლიდირებული ტენდერი № CON180000039)

(30200000-კომპიუტერული მოწყობილობები და აქსესუარები)

ქ. თბილისი **(13.02.2019 წელი)**

ერთი მხრივ,**„შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საქართველოს სასაზღვრო პოლიცია "**(შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი საფინანსო - სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებლის ალექსანდრე რუსეიშვილის სახით, მეორე მხრივ **შპს „იუ-ჯი-თი"**(შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ერმილე სულაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) 20[2] მუხლის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 15 დეკემბრის №12 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტული პერსონალური და სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების აგრეთვე 2019 წლის სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების კონსოლიდირებული ტენდერის (CON180000039) სატენდერო დოკუმენტაციის (შემდგომში სატენდერო დოკუმენტაცია) საფუძველზე, აგრეთვე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

საფუძველი: საქართველოს სასაზღვრო პოლიციის საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს ლოჯისტიკის სამსახურის სამეურნეო უზრუნველყოფის მართვისა და მატერიალური მარაგების განყოფილების 08/02/2019 წლის N330399 სამსახურეობრივი ბარათი.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - 2019 წლის განმავლობაში სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, (CON180000039) კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") - ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4 "მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ახორციელებს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული საქონლის მიწოდებასა და თანმდევი მომსახურების გაწევას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში.
1.5 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.6 სამუშაო დღე - კალენდარულ დღე შაბათის, კვირისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უქმე დღეების გარდა, თუ ხელშეკრლებით გათვალისწინებული ვადის უკანასკნელი დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, ვადის დამთავრების დღედ ჩაითვლება მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე.
1.7 „საქონელი" - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი.
1.8 „ფორსმაჟორი" - „მხარეები" -სათვის გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი „შემსყიდველისა" და/ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით, სამოქალაქო მოქმედებებით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა მოვლენით, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას ან/და იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის, 2 ცალი სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერის (შემდგომში სტანდარტული ლეპტოპი) სახელმწიფო შესყიდვა დანართი №1–ის, დანართი №2-სა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად

3. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულებაა 2409 (ორიათასოთხასცხრა) ლარი, დღგ-ს ჩათვლით.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებითა და სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს მისთვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რაოდენობის სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერ(ებ)ის მიწოდება სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი ვადების მიხედვით, კერძოდ, განახორციელოს სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერების მიწოდება შემსყიდველ ორგანიზაციასთან ხელშეკრულების დადების შემდეგ, მისი მოთხოვნიდან (მიუხედავად მოთხოვნით გათვალისწინებული რაოდენობისა) არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში (მაგრამ არაუგვიანეს 2020 წლის 17 იანვრისა).
გ) გაავრცელოს სტანდარტულ ლეპტოპებზე 3 (სამი) წლიანი საგარანტიო მომსახურება, რომლის მიხედვითაც, მისი დაზიანების შემთხვევაში 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში შეაკეთებს ან შეცვლის მას ახლით.
დ) უზრუნველყოს კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ მომსახურების პუნქტებზე შესაბამისი მომსახურების გაწევა;
ე) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს შემსყიდველ ორგანიზაციასთან, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;
ვ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულების ინსპექტირების განხორციელებისას;
ზ) უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

4.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) არ განახორციელოს საქონლის მიწოდება გამარჯვებულად გამოვლენიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში.
ბ) მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას ხელშეკრულებითა და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

4.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით;
ბ) უზრუნველყოს მიმწოდებლისაგან შესყიდული სტანდარტული ლეპტოპე(ბი)ს ტრანსპორტირება საკუთარი ხარჯებით, ასევე უზრუნველყოს მიმწოდებლის ტექნიკური მხარდაჭერის/შეკეთების პუნქტებში სტანდარტული ლეპტოპ(ებ)ის ტრანსპორტირება.
გ) სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობით ითანამშრომლოს მიმწოდებელთან, შეათანხმოს საქონლის მოთხოვნისა და მიწოდების საორიენტაციო, შემდგომში დაზუსტებული ვადები, განიხილოს მისი მოსაზრებები, პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული წერილობითი პასუხი ყველა საკითხზე;
დ) უზრუნველყოს სატენდერო დოკუმენტაციითა და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება;
ე) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

4.4 შემსყიდველი უფლებამოსილია, მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულებითა და შესაბამისი სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული მასზე დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს ლოჯისტიკის სამსახურის სამეურნეო უზრუნველყოფის მართვისა და დადგემვის განყოფილება და მატერიალური მარაგების სამსახური, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას კონტროლის განხორციელების დროს.

5.2. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მოწოდებისას, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით შეამოწმოს მიწოდებული საქონლის ხარისხი.

6. საქონლის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები

6.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა შემსყიდველის მიერ მისი მოთხოვნიდან (მიუხედავად მოთხოვნით გათვალისწინებული რაოდენობისა) არაუგვიანეს 15 სამუშაო დღე.შემსყიდველისმიერსაქონლისმოთხოვნაუნდაგანხორციელდესხელშეკრულებისგაფორმებისშემდეგ, ელ. ფოსტისმეშვეობით (შემსყიდველისელ. ფოსტის მისამართი:giobandola@18@gmail.com; მიმწოდებლის ელ. ფოსტის მისამართი Gela.Gaprindashvili@ugt.ge

6.2 არ განახორციელოს საქონლის მიწოდება გამარჯვებულად გამოვლენიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში.

6.3 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ #17ა

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ქარხნული წესით შეფუთულ მდგომარეობაში.

წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის გადაცემის დადასტურების მიზნით,საქონლის მიწოდებისასშემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი.

7.2 საქონელი ჩიათვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის მიღება-ჩაბარებისაქტის გაფორმების შემდგომ.

7.3კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში სტანდარტული დესკტოპების მიწოდებისას ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ფორმით ეროვნულ ვალუტაში და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საგადასახადო ანგარის-ფაქტურას. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით.

7.4 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა.

7.5შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებასა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირია, ფშავლიშვილი გიორგი და კევლიშვილი ივანე;

7.6მიმწოდებლის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ია გელა გაფრინდაშვილი.

7.7ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი.

ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7. ხარისხი და გარანტია

8.1 საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, ხოლო მიწოდებული საქონელი უნდა იყოს იდენტური ხელშეკრულების და ნართში აღნიშნული მაჩვენებლების.

8.2 ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონელზე გარანტია ვრცელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში.

8.2 საგარანტიო ვადის განმავლობაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მიერ დგება შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი, სადაც აღიწერება არსებული ხარვეზი, რის საფუძველზეც ხარვეზის აღმოსაფხვრელად შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებელს და უზრუნველყოფს მიმწოდებლის ტექნიკური მხარდაჭერის/შეკეთების პუნქტში სტანდარტული დესკტოპის ტრანსპორტირებას, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია აღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრასსაგარანტიო საქონლის მიმწოდებლის ტექნიკური მხარდაჭერის/შეკეთების პუნქტში წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები უნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.2 თუ მიმწოდებელი არასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, ან სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობით აფრთხილებ სმიმწოდებელს და იცვას ხელშეკრულების პირობები;
9.3 თუ მიმწოდებელი გაფრთხილების შემდეგაც გონივრულ ვადაში არასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება;
9.4 შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება აგრეთვე:
ა)მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;
9.5 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის გაცემის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგადაც მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) სტანდარტული დესკტოპის ხელშეკრულებით განსაზღვრული საორიენტაციო ღირებულების 5%-ისოდენობით;
9.6 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მხარე უფლებამოსილია დააკისროს დამრღვევ მხარეს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,01%-ის ოდენობით;
9.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. მიმწოდებლის სატენდერო წინადადება ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრისჩათვლით;
10.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა განხორციელდება მხარეთა შორის შეთანხმებით, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
11.2 თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია 10 დღით ადრე წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულებისდამდებირომელიმემხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი.
13.2 ფორს-მაჟორულიგარემოებებისდადგომისშემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვლებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.
13.3 თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს სატენდერო კომისიის თანხმობით ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

14.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან, ხოლო ერთი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის შედგება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება ორივე მხარის მიერ.

მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

საფინანსო - სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველო
მისამართი. ქ. თბილისი კანდელაკის ქუჩა N12
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: 220101222
ანგ N200122900
საიდენტიფიკაციო კოდი: 211356557

სამმართველოს უფროსი
ალექსანდრე რუსეიშვილი

შპს „იუ-ჯი-თი“
ს/კ – 204892964
მისამართი: ქ. თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ №17ა
ტელეფონი: 2 220505
საბანკო რეკვიზიტები:
ანგ.№GE88BG0000000261644601,
სს „საქართველოს ბანკი'', კოდი: BAGAGE22,

გენერალური დირექტორი, ერმილე სულაძე

UGT LLC
Digitally signed by UGT LLC
Date: 2019.02.13 14:16:48 +04'00'

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 15/3-72

დანართი №1

#	საქონლის დასახელება	რ-ობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი
1	სტანდარტული პორტაბელური/ სატარებელი კომპიუტერი	2	1204.50 ლარი	2409 ლარი
			სულ დღგ-ს ჩათვლით:	2409 ლარი

შემსყიდველი:
საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი
ალექსანდრე რუსეიშვილი

მიმწოდებელი:
შპს „იუ-ჯი-თი“

გენერალური დირექტორი, ერმილე სულაძე

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 15/3-72

დანართი №2

სტანდარტული პორტაბელური/სატარებელი კომპიუტერის ტექნიკური პარამეტრები

#	სავალდებულო მოთხოვნები	მოთხოვნილი ტექნიკური მახასიათებლები	მიმწოდებლის მიერ სავალდებულოდ შესავსები სვეტი
1	ლეპტოპის დასახელება (ბრენდი)		HP 255 G7 Notebook
2	მწარმოებელი ქვეყანა		ჩინეთი
3	პროცესორი: (მწარმოებელი, მოდელი)		AMD Ryzen 3 2200U
4	ბირთვების რაოდენობა:	არანაკლებ 2 (ორი)	2 (ორი)
5	ლიტოგრაფია	არაუმეტეს 14nm	14nm
6	ნაკადების რაოდენობა	არანაკლებ 4 (ოთხი)	4 (ოთხი)
7	„ქეში“ ან „L3 ქეში“	4MB ან მეტი	4MB
8	მაქსიმალური ტაქტური სიხშირე	არანაკლებ 3.4 GHz	3.4 GHz
9	ოპერატიული მეხსიერება	4GB ან მეტი, DDR4 2400 MHz ან მეტი.	4GB, DDR4 2400 MHz
10	მყარი დისკი	256 GB ან მეტი, თანმიმდევრული წაკითხვის სიჩქარე არანაკლებ 450 MB/s, თანმიმდევრული ჩაწერის სიჩქარე არანაკლებ 170 MB/s	256 GB თანმიმდევრული წაკითხვის სიჩქარე არანაკლებ 450 MB/s, თანმიმდევრული ჩაწერის სიჩქარე არანაკლებ 170 MB/s
11	ოპტიკური დისკების წამკითხავი მოწყობილობა	სავალდებულო	აქვს
12	ქსელი	10/100/1000 Ethernet Controller	10/100/1000 Ethernet Controller
13	რადიო ქსელი	802.11 B/G/N ან B/G/N/AC, Bluetooth	802.11 b/g/n/ac, Bluetooth
14	ეკრანი	15.6”, LED უკანა განათებით, 1366x768 გარჩევადობა ან მეტი	15.6”, LED უკანა განათებით, 1366x768 გარჩევადობა
15	გრაფიკული ადაპტერი	ინტეგრირებული	ინტეგრირებული
16	ხმის ადაპტერი	ხმამაღლამოლაპარაკე, Stereo headphone/line out, microphone/line in (შესაძლოა კომბინირებული ბუდე)	ხმამაღლამოლაპარაკე, Stereo headphone, microphone combo jack (კომბინირებული ბუდე)
17	ინტერფეისები	VGA ან HDMI სავალდებულოა, არანაკლებ 2 x USB 3.0 პორტი (დამატებით USB პორტი ან Type C), 1x RJ-45, 1x კვების ბუდე.	1x HDMI, 2x USB 3.1, 1x USB 2.0, 1x RJ-45, 1x კვების ბუდე
18	Card Reader	არაა სავალდებულო	აქვს
19	ვებ კამერა	სავალდებულოა	აქვს
20	კლავიატურა	მინიმუმ 100 კლავიშიანი	100 კლავიშიანი
21	ოპერაციული სისტემა	Preinstalled Windows 10 Professional 64 OEM	Preinstalled Windows 10 Professional 64 OEM

შემსყიდველი:
საფინანსო-სამეურნეო უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი
ალექსანდრე რუსეიშვილი

მიმწოდებელი:
შპს „იუ-ჯი-თი“

გენერალური დირექტორი, ერმილე სულაძე